



დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2022 წლის 30 სექტემბერი

დისციპლინური საქმე №149/22  
მოსამართლე -- -- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2022 წლის 31 აგვისტოს №149 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2022 წლის 1 სექტემბრის №510/149-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქმის მასალები დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში შემოვიდა 2022 წლის 20 სექტემბერს.

**1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:**

მოსამართლე -- -- 2022 წლის 26 აპრილს მიიღო უკანონო გადაწყვეტილება, რამაც -- -- მიაყენა ზიანი.

**2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

**2.1. საქმე №--**

2021 წლის 20 მაისს -- -- სასამართლოს სარჩელით მიმართეს -- -- და -- -- მოპასუხე -- -- მიმართ და მოითხოვეს მოპასუხისათვის თანხის დაკისრება. სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოსარჩელემ მოითხოვა -- -- საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებებზე მდებარე: -- --, სოფელი -- --, ს/კ -- და ს/კ -- ყადაღის დადება და -- -- უძრავი ქონებების იპოთეკით დატვირთვის აკრძალვა.

-- -- სასამართლოს მოსამართლე -- -- 2021 წლის 20 მაისის განჩინებით -- -- და -- -- განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; -- -- აკრძალა, მის საკუთრებაში -- --, -- -- მდებარე უძრავი ქონების (ს/კ -- და ს/კ --) გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა; -- -- და -- -- უარი ეთქვათ მოპასუხის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებებზე ყადაღის დადების მოთხოვნაზე.

-- -- შესაგებელი სასამართლოში წარადგინა 2021 წლის 11 ივნისს. -- -- სასამართლოს 2021 წლის 29 ივნისის განჩინებით -- -- სარჩელი, -- -- მიმართ, თანხის დაკისრების თაობაზე, სარჩელის გახმობის გამო დარჩა განუხილველად.

**2.2. 2021 წლის 12 ივლისს -- -- სასამართლოს საჩივრით მიმართა -- -- წარმომადგენელმა და მოითხოვა -- -- სასამართლოს 2021 წლის 20 მაისის განჩინების გაუქმება.**

-- -- სასამართლოს 2021 წლის 16 ივლისის განჩინებით -- -- საჩივარი, -- -- სასამართლოს 2021 წლის 20 მაისის სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გაუქმების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა

დაუსაბუთებლობის გამო და საქმის მასალებთან ერთად გადაიგზავნა -- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში.

-- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე -- -- 2021 წლის 29 ივლისის განჩინებით -- -- წარმომადგენლის საჩივარი, -- -- სასამართლოს 2021 წლის 20 მაისის განჩინებაზე, განსახილველად იქნა მიღებული; მოწინააღმდეგე მხარეს - -- --, -- -- დაენიშნათ საპროცესო ვადა საჩივრის ასლის ჩაბარებიდან 3 დღე, შესაბამისი პასუხის სააპელაციო სასამართლოში წარსადგენად.

-- სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით -- -- საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- -- სასამართლოს 2021 წლის 20 მაისის განჩინება.

**2.3.** -- -- სასამართლოს 2022 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა; -- -- -- -- -- -- -- -- სასარგებლოდ დაეკისრა -- აშშ დოლარის გადახდა. აღნიშნული გადაწყვეტილება -- -- სააპელაციო წესით გაასაჩივრა 2022 წლის 24 თებერვალს.

**2.4.** -- სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 10 მარტის განჩინებით აპელანტს -- -- დაევალა, აღნიშნული განჩინების ასლის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში, ხარვეზის შევსების მიზნით: შესაბამის მტკიცებულებაზე დაყრდნობით დავის საგნის ღირებულების დადგენა ეროვნულ ვალუტაში; სახელმწიფო ბაჟის გადახდა დავის საგნის ღირებულების - - - აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის 4%-ის ოდენობით და სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის, დედნის სახით, სააპელაციო სასამართლოში წარდგენა.

-- სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 10 მაისის განჩინებით აპელანტს, -- -- გაუგრძელდა №-- სამოქალაქო საქმეზე -- სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 10 მარტის განჩინებით, ხარვეზის შევსებისათვის დადგენილი ვადა, იგი განისაზღვრა ამ განჩინების ასლის აპელანტისათვის ჩაბარებიდან 15 დღით.

## **2.5. საქმე №--**

2021 წლის 11 ივნისს -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა -- -- წარმომადგენელმა -- -- სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

-- -- სასამართლოს მოსამართლე -- -- 2021 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით -- -- სარჩელი მიღებული იქნა სასამართლო წარმოებაში და ამ ეტაპზე დასაშვებად იქნა ცნობილი; ადმინისტრაციულ საქმეში №-- -- -- სარჩელის გამო, მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრი ეროვნული სააგენტოს მიმართ, აქტის ბათილად ცნობის შესახებ, მესამე პირად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, ჩაბმულ იქნა -- -- და -- --. საქმის მასალები გაეგზავნა მესამე პირად ჩაბმულ -- -- და -- -- და ეცნობათ სასამართლო სხდომის დრო და ადგილი.

-- -- სასამართლოს 2021 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით -- -- შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა. მოცემულ საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე, აეკრძალა მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს უძრავ ქონებებზე - -- -- ს/კ -- და ს/კ -- ნებისმიერი სახის სამოქალაქო სამართლებრივი ვალდებულებით დატვირთვა (ნასყიდობა, გაცვლა, გაჩუქება, აღნაგობა, უზურფრუქტი, სერვიტუტი, იპოთეკა, იჯარა/ქირავნობა).

-- -- სასამართლოს 2022 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 20 ივლისის №--. უძრავი ნივთის -- -- სახელზე აღრიცხვის შესახებ. დაევალა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ს/კ -- -- არსებული უძრავი ნივთის -- -- სახელზე რეგისტრაცია და -- -- სასამართლოს 2021 წლის 20 მაისის განჩინებით გამოყენებული გასხვისებისა და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვა. ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 20 ივლისის №-- გადაწყვეტილება - -- -- მდებარე ს/კ --, -- კვ.მ. უძრავი ნივთის -- -- სახელზე აღრიცხვის შესახებ. დაევალა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს საკადასტრო კოდეზე -- არსებული უძრავი ნივთის -- -- სახელზე

რეგისტრაციის აღდგენა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 19 ოქტომბრის №-- გადაწყვეტილება; სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება დარჩა უცვლელი.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა -- -- 2022 წლის 16 ივლისს, -- -- 2022 წლის 27 ივნისს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ 2022 წლის 27 ივნისს.

### **3. მოსამართლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია:**

მოსამართლე წარმოდგენილი ინფორმაციაში აღნიშნავს, რომ საჩივარში მითითებული მსჯელობა მიაჩნია უსაფუძვლოდ, დაუსაბუთებლად და სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლოს საქმიანობაში უხეშ ჩარევად. ამასთან, აღნიშნავს, რომ მიღებულ გადაწყვეტილებაზე ზედამხედველობა დაუშვებელია.

### **4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები; 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამატებით, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების, ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასებას. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავისმხრივ იმის შემოწმება, ხომ არ

ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა, ფართო გაგებით, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას. თუმცა, წინამდებარე გადაწყვეტილებაში მითითებული გარემოებები სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილებას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეები სარგებლობენ თანაბარი საპროცესო უფლებებით. მათ უფლება აქვთ, გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღონ ასლები, განაცხადონ აცილებანი, წარადგინონ მტკიცებულებანი, მათ შორის, ექსპერტის (საექსპერტო დაწესებულების) დასკვნები, სპეციალისტის ცნობები, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვან მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, სასამართლოს წინაშე განაცხადონ შუამდგომლობები, მისცენ სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინონ იმავე ტიპის საქმეზე სხვა სასამართლოს გადაწყვეტილებანი, წარადგინონ თავიანთი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, გაასაჩივრონ სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები, წარადგინონ მორიგების აქტი საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე და ისარგებლონ ამ კოდექსით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე მუხლის მე-3 მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში.

დადგენილია, რომ -- -- სასამართლოს 2022 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა.

საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად მიღებული განჩინებების შემოწმებას შეეხება, რაც არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში, რადგან წარმოადგენს აქტის კანონიერებაზე ზედამხედველობას.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტით, 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

შეწყდეს, -- -- 2022 წლის 31 აგვისტოს №149 საჩივრის საფუძველზე არსებული, დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი  
დამოუკიდებელი ინსპექტორი